საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "19" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1632/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 13 ნოემბერს N დმ-39665 განცხადებით კომპანიის „ფაქშუ" წარმომადგენელმა ლალი წითლანაძემ (მის: N 74 საუთ უესტ ოფ არგენტინე, თეირანი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „AVE" (რეგ. N 17850) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „AVE" (რეგ. N 17850) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 18.09.2007 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.09.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „AVE" (რეგ. N 17850) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N433), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 19.11.2013.

ასლის დედანთან სწორია
"19" 11 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ფაქშუ“ წარმომადგენელს ლალი წითლანაძეს (მისამართი: ლილო საქნავთის დასახლება, ნაკვეთი 07/006, თბილისი)

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

AVE

რეგ. N 17850

მფლობელი: ფაქშუ

მისამართი: N 74 საუთ უესტ ოფ არგენტინე, თეირანი, ირანის ისლამური რესპუბლიკა

კლასი: 3 - მათეთრებელი პრეპარატები და სხვა სარეცხი ნივთიერებები; წმენდის, გაპრიალების, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის ფხვნილები და პასტები.